**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებით დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩ. ზედ, ვარანცოვი ხიდის პირდაპირ, თავ. გრუზინსკიეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩ. ზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


## ახალი ამბავი

*** მისი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა ეგზარხოსი ვლადიმირი დღეს, ამ თთვის 21-ს, ჩამობრძანდება მარტყოფის მონასტრიდგან ტფილისში და ხვალ, მის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის მარიამ თეოდორეს ასულის სახელწოდების დღეს, მწირველი იქმნება სიონის ტაძარში.

*** დღეს ტფილისში მოელიან კოჯრიდგან კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწეს გენერალ ლეიტენანტს გრაფს ი. დ—ძე ტატიშჩევს.

*** ქალაქის გამგეობის ერთს წევრს შეუდგენია მოხსენება იმ მიწის შესახებ, რომელიც ქალაქის განაპირას, ვაგზალის ახლო, გაშენებულია ქოხმახებით. გამგეობის წევრი იმ აზრისაა თურმე, რომ ხსენებულ მამულის გაყიდვა არ შეიძლება, სჯობს იჯარით გაიცესო.

*** ტფილისის მეორე განაპირას, ახალ გოლანდიაში, ბევრი საწყალი ხალხია დასახლებული კერძო მამულზედ, რომელიც ბ-ნ ვალიანცს ეკუთვნის. ეს მამული იჯარით ჰქონია საწყალ ხალხს აღებული. იჯარის ვადა თავდება 18 ივლისს. ბ-ნი ვალიანცი ძალას ატანს ხალხს, ან შეისყიდეთ მიწა 12—25 მანეთად ოთხკუთხი საჟენი, ან იჯარა მაძლიეთ თითო საჟენზედ მანეთ ნახევრიდგან სამ მანეთამდეო. ხალხი სთხოვს, ჩვენგან გაშენებული მიწა 48,000 მანეთად მოგვყიდეო. ბ-ნი ვალიანცი უარობს. ეს ამბავი ტფილისის პოლიცმეისტრის მოადგილემ მოახსენა მთავარ-მართებლის თანაშემწეს და არ ვიცით, რითი გათავდება.

*** ერთს ყასაბს შუა ქალაქში, ავლაბრის ხიდთან, საყასბო გაემართა და ჩუმად ჰხოცავდა თურმე საქონელს. ეს ამბავი იცოდა ქალაქის ერთმა აგენტთაგანმა და არც ქალაქის გამგეობას მოახსენა, არც სხვა ღონისძიება რამ მიიღო, რომ აკრძალული მოქმედება აღეკვეთა. ქალაქის პოლიცმეისტრის მოადგილემ ნ. ი. სოკოლოვსკიმ განკარგულება მოახდინა, რომ პროტოკოლი შესდგეს და როგორც ყასაბი, ისე ქალაქის აგენტი სამართალში იქმნან მიცემულნი.

*** ამას წინად, წყალ-დიდობის დროს, მტკვარმა წაიღო ორთაჭალის ხის ხიდი. აქამომდე ორთაჭალის მებაღენი ნავით ეზიდებოდნენ ყოველნაირ ხილსა და მწვანილეულს და დიდად წვალობდნენ. ეხლა ქალაქის გამგეობისათვის თხოვნა მიურთმევიათ, ნება მოგვეცით, ისევ ხის ხიდი გავაკეთოთ და ვიხსნათ თავი იმ ზარალისაგან, რომელიც შარშან ხოლერამ მოგვაყენა და წლეულ წყალდიდობამაო.

*** რუსეთის სახელმწიფო რკინის გზების უმთავრესს მმართველობამ მოსწერა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას, რომ ახალ ხარჯთ-აღრიცხვაში დასახელებულ რკინის გზის ტელეგრაფში მსახურთა ჯამაგირი 31,574 მან. ნაკლებია დანიშნულიო, და ამიტომ უმთავრესი მმართებლობა სთხოვს ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობას ტელეგრაფში მსახურთა შტატის შემოკლებას.

*** ამას წინად სასამართლოს გამომძიებელმა ბ-მა ოქოევმა გაათავა გამოძიება ბ-ნ არისტაქოვის სააფთიაქო მაღაზიის ცეცხლის წაკიდების შესახებ და გადასცა ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს ბ-ნს პადალკას ამ საქმის მოსასპობლად, რადგანაც გამოძიებამ არა აღმოაჩინა-რა, ვინ წაუკიდა ცეცხლი. ბ-მა ბრალმდებელმა გასინჯა ეს საქმე და ხელახლად ბ-ნ სასამართლოს გამომძიებელს დაუბრუნა დამატებით გამოსაძიებლად.

*** ტფილისის საზოგადო ბიბლიოტეკა ამ დღეებში სიცხეებისა და ბიბლიოთეკის შეკეთების გამო დაკეტილ იქმნა მარიამობისთვის 15-დე.

*** გუშინ ბაქოდგან დეპეშით აცნობეს ტფილისის პოლიციას, რომ ამ თთვის 19-ს ბაქოში ვიღაცა ავაზაკებს გაუძარცვავთ ბ-ნ ეგელევსკის მაღაზია, საიდგანაც წაუღიათ დიდძალი ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი. ავაზაკნი ბაქოდგან, როგორც ბაქოს პოლიციას შეუტყვია, გამოქცეულან ტფილისისაკენ.

*** გუშინ, ამ თთვის 20, ქალაქის მეხუთე განყოფილებაში, ფომინის ქუჩაზე ჩამოიქცა დიდი სამ-სართულიანი სახლი, რომელიც სასინოდო კანტორას ეკუთვნოდა. უბედურება არა მომხდარა-რა, რადგანაც ამას წინად ამ სახლში ყველა მცხოვრებნი პოლიციამ გამოიყვანა. ამ სახლს აგერ მესამე თთვეა უცვლიდნენ ბანს. საბედნიეროდ, სახლი იმ დროს დაიქცა, როდესაც იქ მომუშავენი არ იყვნენ, რადგანაც მუშები და ხელოსნები ამ დროს სადილობდნენ.

*** ამას წინად პოლიციის მერვე განყოფილების ბოქაულმა ბ-ნმა კახანოვსკიმ დაიჭირა 122 ფუთამდე ხიზილალა და გუშინ, ამ თთვის 20-ს, პოლიციის-მიერ აღმოჩენილი ხიზილალა საჯაროდ უნდა გაეყიდნათ. მაგრამ ტფილისის მეთევზეებმა დეპეშით სთხოვეს თევზის დაჭერის ზედამხედველ პოლიციის უფროსს, რათა მან ტფილისის პოლიციას აცნობოს, რომ მათ-მიერ ტფილისში ჩამოტანილი ხიზილალა გამოტანილია ბაქოს ხიზილალის საწყობიდგან. თევზის დაჭერის ზედამხედველ პოლიციის უფროსმა ბაქოდგან აუწყა ბ-ნ ტფილისის პოლიცმეისტრის მოადგილეს, რომ პოლიციის მიერ დაჭერილი 122 ფუთი ხიზილალა გამოგზავნილია ბაქოს საწყობიდგანო. ამის გამო ხიზილალა პოლიციამ ისევ პატრონებს დაუბრუნა.

*** ბ-ნი ყორღანოვი, რომლის წყალის მილები ქალაქმა შეისყიდა, იმ შენობაში, სადაც წინად წყალის ამომყვანი მაშინები ჰქონდა, ეხლა აბანოსა ჰმართავს.

*** ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცხადებულია, რა ფასად მიიღება აქციზის გადასახადში, ანუ წინდად, ამ ივლისის პირველიდგან ახალწლამდე აქციები, ობლიგაციები და პაიები სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და ამხანაგობათა:

| | ფასი სახელდებული | ფასი მიიღება ქაღალდ. ფულით. |
|---|---|---|
| ობლიგაციები რკინის გზებისა: | | |
| 3% ამიერ-კავკასიისა . . . | 125 მან. | —123 მან. |
| 5% ფოთი-ტფილისისა . . . | 100 გირ. სტერ. | 837 „ |
| „ . . . | 1000 გულდ. | —701 „ |
| 5% ამიერ კავკასიისა . . . | 500 ფრან. | —164 „ |
| 5% ობლიგაცია ტფილისის საკრედიტო საზოგადოებისა. . . | 100 მან. | — 68 „ |
| 6% ობლიგაცია ქ. ტფილისისა . | 100 მან. | — 43 „ |
| საადგილ-მამულო ბანკებისა: | | |
| 6% გირავნობის ფურცელი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა. . . . . | 100 მან. | — 80 „ |
| 6% ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა . . | 100 მან. | — 80 „ |
| აქციები: | | |
| სანავოსნო საზოგადოების „კავკაზ და მერკურისა“. | 250 მან. | —199 „ |
| ნავთის მწარმოებელ სავაჭრო საზოგადოებისა „კასპიის ამხანაგობა“. . . . . | 1000 მან. | —650 „ |

*** ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ეკკლესიის მღვდელი, მამა მიხეილ ჯავაშვილი, გვთხოვს მივაქცევინოთ ყურადღება, ვისიც ჯერ არს, შემდეგს გარემოებას. 18 ამ თთვისას, ღამე, მე-9 პოლიციის ნაწილში, უეცრად ავად გახდა ერთი მანდილოსანი, ხუთის ქალიშვილის

## ფელეტონი

**არა მკითხე რევიზორის შენიშვნები**

მკითხველებს ეხსომებათ, რომ მე არამკითხე რევიზორობა ვიკისრე და პირველსავე წერილში აღვთქვი სხვა ჩემის შენიშვნების გამოქვეყნება. ვგრძნობ, რომ დავიგვიანე. მაგრამ თავის გასამართლებელ საბუთსაც მოვიყვან. უნდა აღვნიშნო, რომ ჩემს გარეშემო სრული სიჩუმე სუფევს. ყველაფერი გონების ძილისაკენ გეწევა. ან-კი რაღა გეფხიზლება, თუ ღმერთი გწამს, იქ, სადაც მცირედი შეშმუშვნა, გონების სიფხიზლე და ცოტაოდენი ღვთიურ ნაპერწკლის გამოჩენა „ნებლაღონადიოჟნობად“ ჩაგეთვლება? ამ უკუღმართობის ნიმუშები გნებავთ თუ? ბატონი ბრძანდებით; ათასში მხოლოდ ერთს დავასახელებ. რამდენიმე დღეა მას აქეთ, რაც ერთს საცოდავს სოფლის მასწავლებელს კინაღამ ვაი-ვაგლახი აუტეხეს. ამ უკანასკნელის დანაშაულობა ის იყო, რომ ბავშვებისათვის წასაკითხავად ისეთი წიგნები დაერიგებინა, რომელთა შინაარს შემდეგი მარტივი ანდაზა შეადგენდა: „Волкъ не пастухъ, свинья не огородникъ“. მეორე ჩემი ნაცნობი „ნებლაღონადიოჟნად“ ჩასახეს და, ბეწვი გაწყდა, კინაღამ მოსარჯულებლად არ გაისტუმრეს, მარტო იმისთვის, რომ ერთს თავის კორრესპონდენციაში გულშემატკივრობა გამოიჩინა მაშვრალთა და ტვირთმძიმეთადმი. კარგი, თუ გინდა, ზევით დასახელებულის შინაარსის წიგნების კითხვა, რომელთამე „მცველების“ აზრით, წრეს გასული ლიბერალობა არის, კორრესპონდენტობა, კიდევ „ნებლაღონადიოჟნობას“ მოასწავებს. მაგრამ მესამე ჩემს ნაცნობს რაღას ერჩოდნენ? ყველაზე სასაცილო საქმეკი იმას მოსვლია: ეს საცოდავი გულს აჰყოლია (ან-კი რა დროს გულის აყოლა არის, თუ ღმერთი გწამთ?), ამდგარა და უსასყიდლოდ არზა დაუწერია ერთის ხელ-მოკლე გლეხისათვის, რომელსაც ერთმა მყუდროების დარაჯთაგანმა ცხვირპირი დაუსისხლიანა და სასიკვდილოდ ნაცემი კიბიდგან გადმოაგდო. ამ საჩივარს ის შედეგი მოჰყვა, რომ მყუდროების დამცველმა დიდი მადლობა მიიღო, ნაცემმა გლეხმა დიდი საყვედური და არზის დამწერს-კი კინაღამ ვირის აბანოში ამოაყოფინეს თავი, რაო და „крестьянъ бунтуетъ, кляузничаетъ“-ო. როცა უბრალო ქრისტიანობრივი გულშემატკივრობა „ნებლაღონადიოჟნობად“ ითვლება, ამას შემდეგ რაღა საკვირველია, რომ ჩემს არამკითხე რევიზორობაშიაც „ბუნტოჩიკობა“ დაინახოს ვინმემ? ამიტომაც არის, რომ ჩვენის კუთხის „მცველს ბ-ნს ეჩოძეს მოწიწებით შევყურებ თვალებში. ამის დაუკითხავად ფეხსაც არ ვადგამ ხოლმე. ყოველს ჩემს სულის და გულის მოძრაობას ამას შევამოწმებინებ. როცა ჩემს რვეულში რაიმე ახალი შენიშვნა იჩენს თავს, ეჩოძესთან გავრბივარ ხოლმე: თუ ამან მოიწონა, კიდეც გამოვაქვეყნებ და, თუ დაიწუნა, გულ-დაწყვეტილი, მაგრამ „ბლაღონადიოჟნობის“ მოწმობით აღჭურვილი ვბრუნდები სახლში. ამ შემთხვევაში ჩემს სარევიზიო რვეულს მტვერს ვუშლი ფიანდაზად და ძილს ვეძლევი.—ვიქნები ასე მოსვენებით, ვეუბნები ჩემს თავს, დაბრიყვებულთა ჩივილს ყურს მოვუყრუებ, ვიძინებ; სადაც არის, დროებით ძილს საუკუნო ძილიც ზედ მოებმება და „ბლაღონადიოჟნობის“ მოწმობით აღჭურვილი წარვსდგები განგების წინაშე. ეს მოწმობა უტყუარი საბუთი იქნება იმისა, რომ მე განვლე ცხოვრების გზა უზრუნველად, უშფოთველად და შეუნიშნავად (მარტო ეს შეუნიშნაობა რადიც გინდა ეღირება!).“ ამგვარის წარმოდგენით ვსტკბებოდი სწორედ იმ დროს, როცა ჩემ ქალაქელ მეგობრის წერილი მივიღე. ის, სხვათა შორის მწერდა: „შენ სიტყვა მომეცი, რომ სოფლის ინტელიგენციის შესახებ მომწერდი რამეს, მაგრამ პირველისავე წერილის შემდეგ დადუმდი და არას იწერები. ძლიერ მინდა ვიცოდე, რას აკეთებს სოფლად განათლებული ახალგაზრდობა? სხვების გზის მაჩვენებელნი არიან, თუ თითონ გახდომიათ საძებნელად გზა და კვალი? უხელენ სხვებს თვალს, თუ თითონ ბრმავდებიან? უმსუბუქებენ ვისმე წუთი სოფლის მძიმე უღელს, თუ უფრო უძნელებენ უღლის წევას? როგორც წინანი, გზად და ხიდად ეგებიან უკან ჩამორჩომილ მოძმეთ, თუ თავად ამ საწყლებს სდებენ ხიდად და ზედ თავისუფლად დადიან? მატებენ რასმე სოფელს, თუ აკლებენ? აღონებს ამათ სოფლის უნუგეშო მდგომარეობა, თუ სხვების უნუგეშო მდგომარეობაზე ამყარებენ საკუთარს ნუგეშსა და საპოებას? შველიან რასმე სოფელს გაჭირვებაში, თუ საკუთარი გაჭირვებაც სოფლისთვის მოუხვევიათ? აქვთ გაკვლეული რაიმე პროგრამმა მოქმედებისა? სათნოებას სთესენ მოძმეთა შორის, თუ შუღლს და განხეთქილებას? შეიყვარა იგინი სოფელმა, თუ სათოფეზე არ ეკარება? სწავლა-განათლებას ფასი დასდეს სოფლის თვალში თავიანთ ყოფაქცევით, თუ სამუდამოდ აბრუ გაუტეხეს სწავლა-განათლებასაც და თავიანთ აღმზრდელ სასწავლებელსაც? წარმოადგენენ ისინი რაიმე ძალას, თუ ყოველგვარის ძალის წინაშე იყრიან მუხლს? რა აზრი და სურვილი ასულდგმულებს იმათ? რა იდეალებს ემსახურებიან? რა ღმერთებს აღმერთებენ? წინ ეწევიან სოფლის ცხოვრებას, თუ თვითონ ცხოვრება მიათრევს ამათ თავქვე? ამ შემთხვევაში ყბედაძის და დიდგულაძის შესახებ მომწერე უეჭველად რამე. თუ ეს არ შეგისრულებია, სამუდამოდ გულს ავიყრი შენზე“.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემის მეგობრის მიერ დასახელებული ყბედაძე და დიდგულაძე საკმაო ნიჭს

დედა. ავადმყოფობა მეტად საეჭვო იყო და ამის გამო მამა მიხეილი თვით წასულა საჩქაროდ ექიმის მოსაყვანად, მაგრამ დილის 7 საათამდე არავის მიუღია; იმ ექიმსაც-კი უარი უთქვამს, რომელიც ჯამაგირს იღებს და მოვალეა ამ ნაირ ავადმყოფს მაშინვე მიჰხედოს. ბოლოს, ექიმ ჩიქოვანთან მიუსწავლებიათ და ის მაშინვე გამოჰყოლია მამა მიხეილს.

*** ერთი ვაჭარი ტფილისში დიდს საწყობს მართავს ლუდისას, რომელიც ოდესიდგან უნდა დაიბაროს. ეს ამბავი ვერაფრად ეჭაშნიკებათ აქაურ ლუდის ქარხნების პატრონთ, რომელნიც ლუდის მაგიერ რაღაც ბურდოსა ჰყიდიან მამასისხლად, თითქმის ღვინოზედ ძვირად.

*** ჩვენ მოგვივიდა ოზურგეთსა და ახალ სენაკში დაბეჭდილი ახალი წიგნები, გამოცემა ბ-ნ თავართქილაძის წიგნის მაღაზიისა:

გვერდი ფასი

1, ქალ-ვაჟიანი (ოც და-მესა მე გამოცემა) . . . . 26—5 კაპ.
2, სამშობლოს სიყვარული, მონტეგაცციდგან გადმოღებული სამსონ ყიფიანის მიერ . . . . . . 36—5
3, ალექსიანი, ბერძნულიდამ ნათარგმნი მეჩვიდმეტე საუკუნეში, დიდის მეფის თეიმურაზის დროს . . 32—5
4, ამპარტავანი გიორგი, ლეგენდა გარშინისა, თარგმანი ილ. ფერაძისა (მეორე გამოცემა) . . . . . 31—5
5, საყმაწვილო ბიბლიოთეკა (საყმაწვილო ლექსები), შეკრებილი კ. ოცხანელის-მიერ (მეორე გამოცემა) . 48—5

მივიღეთ აგრეთვე ახალი წიგნი, იქვე აღბეჭდილი, „სიმდიდრის ბურჯი და ახალი წელიწადი — პირველი ენკენისთვე“ მღვდელ-მონაზონის კალისტრატესი“ . . . . . . . . 40—5

*** ს. მუხრანი, 18 ივლისი: დღეს ნაშუადღევის სამ საათზედ აქ საზარელი მკვლელობა მოხდა. ერთი აქაური კალატოზი, გვარად ბეგოიძე, მოჰკლა ხანჯლით ვიღაც ხვთისომ, მეფურგუნემ. მოკლული იყო ერთი საწყალი, სინიდისიანი, ყველად უწყინარი, მშვიდი, პატარა შვილების პატრონი, რომელნიც ამას შემდეგ დარჩნენ სრულიად ულუკმა პუროდ.

როგორცა სჩანს, მკვლელს და მოკლულს წინადა ჰქონიათ ერთმანეთში რაიმე უსიამოვნობა, რომლის გამოც მოხდა ეს უბედურება.

*** სოფ. ქარელი. (გორის მაზრა): ამ თთვის 17, შუადღის შემდეგ, მესამე საათის ნახევარი იყო, უეცრად ცას ბნელი გადააწვა, ამოვარდა დიდი ქარიშხალი, თან მოჰყვა თქეში და სეტყვა, რომელმაც ნახევარ საათზე მეტი ხანი გასტანა. ქარიშხალმა რამდენსამე სახლს ყავარი გადაგლიჯა. სეტყვამ ბაღები და ვენახები საკმაოდ წაახდინა, ფანჯრებში შუშები ჩალეწა.

*** სოფ. ქვემო ხვედურეთი (გორის მაზრა): 17 ივლისის სეტყვამ ვენახები ისე დარეგვა, რომ საბრალო ხალხს ამაგზე მთლად ხელი აიღებინა.

*** ს. ავლევი (გორის მზრა): ჩვენს სოფელს ეწვია საშინელი ციებ-ცხელება. ოჯახს ვერ ნახავთ, სადაც ორი-სამი არ იყვეს ავად ამ სენით. ამისთანა გაჭირვების დროს ხელს გვიწყობს სხვა და სხვა წამლების ძლევით თ. კ. მ. ამირეჯები, რომელმაც წრეულ დაასრულა ოდესის უნივერსიტეტი. სრული მადლობის ღირსია ეს პატივცემული ახალგაზდა, რომელიც წამლებს უფასოდ გვითმობს.

*** გურია: წელს გურიაში კარგი შეზავებული ამინდებია. ჯერ არ გვახსოვს, რომ ასეთი საიმედო ჯეჯილი გვენახოს ყანებში, როგორიც წელს არის გურიაში. სწორედ „ავი თვალისას არ შეეხედებაო“ რომ იტყვიან, წელს ეთქმით გურულებს, თუ მოგვხედა ღმერთმა და ჯეჯილმა შესაფერი ნაყოფი მოგვცა. წელს ესევე გვეთქმოდა ყურძენზეც, რომ ნაცარს გავეხარებინეთ. სწორედ მოხუცებულებს თუ ახსოვთ ამ გვარი ყურძნის სხმა, როგორც წელს ასხია, თორემ ამ ათ თხუთმეტ წელიწადში სიზმრადაც არ დაგვესიზმრებია გურულებს. მაგრამ დადგა თუ არა მკათათვე, ჩვენდა საუბედუროდ ჩვეულებრივ იჩინა თავი ნაცარმა ჩვენს ყურძენზე. ხშირად იყო ჩვენს გაზეთში მოხსენებული ამის გამო საჩივარი, მაგრამ ჯერჯერობით მკურნალი არ გამოგვიჩნდა!..

*** გაზეთ Нов. обозр.-ს ატყობინებს საკუთარი კორრესპონდენტი სტამბოლიდგან, რომ სასულიერო დელეგაცია, რომელიც აქედგან წავიდა იერუსალემს სომეხთა კათოლიკოზთან, მთავარ-ვეზირმა ჯევათფაშამ და პოლიციის მინისტრმა ნაზიმ-ბეიმ ინახულეს, პატრიარქის აშიგიანის სურვილისამებრ. ხონთქარმა დაინახა სომხის ეპისკოპოსნი ბოდიზში, „სელიმლექის“ დღესასწაულს, და თვის ადიუტანტის ემინ-ბეის პირით მოკითხვა შეუთვალა.

სასულიერო დეპუტაციის წარჩინებულნი წევრნი—ეპისკოპოზნი, სტამბოლში ყოფნის დროს, პატრიარქის სახლში სცხოვრობდნენ: სხვები-კი—იერუსალემის სამონაზნოში.

*** 18 ივლისს ივანე ბალიაშვილის ძაღლმა დაჰკბინა ფეხსაცმლის მკერავი ვლადიმირ ძნელაძე, მეეტლე გიგო შიოევი, კონსტანტინე გუნჩენკო და ვანო შიუკაშვილი. ძაღლი გასწყრეს და ცოფიანი აღმოჩნდა. დაკბენილები საბაქტერიოლოგიო სადგურში გაჰგზავნეს.

*** 19 ივლისს დოქტორის ვიწრო ქუჩაზე ციციშვილის სახლში ქუთაისის მაზრის მცხოვრებელმა ნინო მაჭავარიანმა თავის მოკვლა განიზრახა და კარბოლის სიმჟავე დალია. ქალი სამკურნალოში გაჰგზავნეს საექიმოდ.

*** ამავე დღეს პოლიციის პირველს ნაწილში სლივიცკის 7 წლის ქალი ოლგა ჩებტერევიჩის სახლის წინ ქვაფენილზე თამაშობდა და ნახევრად თავახდილს ქაში ჩავარდა. ბავშვი სუბუქად დაშავდა.

---

## სასულიერო მთავრობის განკარგულებანი

უწმინდესის უმართლებულესის სინოდის ამა 1893 წლის 20 მაისის მე-2160 №-რის ბრძანებისამებრ, კოლლეჟსკი ასესორი კ. პეტროპავლოვსკი დანიშნულ იქმნა საქართველოს ეგზარხოსის კანცელარიის მმართველის თანამდებობის აღმასრულებლად.

მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ეგზარხოსის მიერ, უწმიდესის სინოდის ამა წლის 9 აპრილის მე-1469№-რის ბრძანების თანახმად, არხიმანდრიტი პაისი დანიშნულ იქმნა ახალციხის მაზრის საფარის წმ. საბბას მონასტრის წინამძღვრად.

მღვდელ-ბლაღოჩინის გიორგი ედილაშვილის მოხსენების თანახმად, დიზის ეკლესიის დიაკვანი ქრისტეფორე მგალობლიშვილი გადაყვანილ იქმნა სადგილაშენის ეკლესიაში შტატის დიაკვნის ადგილზედ.

ნაქალაქარის სამრეკლოს მეორე დიაკვანი დავით მათურელაშვილი, თავისისავე თხოვნის თანახმად, გადაყვანილ იქმნა თიანეთის მაზრის სოფ. შატილის სამრეკლოში.

საეკლესიო მნათეს თანამდებობაზედ დამტკიცებულ იქმნენ:

ტფილისის მაზრაში: სოფ. პატარძეულის მცხოვრებელი გლეხი ქრისტესია ზუკაკაშვილი—პატარძეულის წმ. თომას ეკლესიაში; სოფ. თოხლიაურის მცხოვრებელი გლეხი დავით ფეიქრიშვილი—თოხლიაურის წმ. აღდგომის ეკლესიაში; სოფ. მანავის მცხოვრებელი გლეხი თევდორე ლედელაძე—მანავის ყოვ. წმ. ღვთის-მშობლის ეკლესიაში; სოფ. კოდას მცხოვრებელი გლეხი ივანე ავგაროზაშვილი—კოდას ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში.

თელავის მაზრაში: სოფ. წინანდლის მცხოვრებელი გლეხი გაბრიელ სპარსიაშვილი—წინანდლის წმ. გიორგის ეკლესიაში.

სოფ. კაზიანის მცხოვრებელნი გლეხნი დავით ტურაშვილი და ნიკოლოოზ ვარდიაშვილი და სოფ. საბუეს მცხოვრებელნი თავადი გრიგოლ დავითისძე ჯორჯაძე და გლეხი ივანე დათიაშვილი დამტკიცებულ იქმნენ საბუეს იოანნე ნათლის-მცემლის ეკლესიის სამზრუნველოს წევრებად.

„ნაბღვრნიკათ“ დაჯილდოებულ იქმნენ:

ა) სიღნაღის მაზრის მე-2 საბლაღოჩინო ნაწილის ბლაღოჩინის, დეკანოზის სიმონ ბეგიაშვილის მოწმობისამებრ, ვაქირის იოანე ნათლის-მცემლის ეკლესიის მღვდელი სიმონ შანშიაშვილი—ცხრა წლის განმავლობაში უნაკლულო და გულ-მოდგინე სამსახურისა გამო, უსასყიდლო შრომისათვის თელავის სასულიერო სასწავლებლის საბლაღოჩინოს სამღვდელოების მხრივ დეპუტატის თანამდებობაზედ და მისდა რწმუნებულ ეკლესიის ქვითკირის სამრეკლოს აგების დროს გულმოდგინე თვალ-ყურის გდებისათვის.

ბ) გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი კონსტანტინე ცხვედაძე.

მწყემს მთავრული კურთხევა გამოეცხადა და სიგელიც ებოძა:

ასანურის წმ. გიორგის ეკლესიაში შტატის მედავითნეს ადგილზედ მყოფს მთავარს ევგენი იაშვილს 55 წლის განმავლობაში უნაკლულო სამსახურისათვის.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. მუხრანი**, 11 ივლისი. წელს აქედ სალიანობა არის და ჰირნახულიც ძრიელ კარგია. მოხუცები ამბობენ: წლევანდლისთანა მოსავალს, კარგა ხანია, არ მოვსწრებივართო. თუმცა ალაგ-ალაგ ყანები თხელია, მაგრამ სამაგიეროდ მარცვალი მშვენიერი აქვს, რის გამოც გამოსავალი ძრიელ კარგი ექნება.

მკა გახშირებულია და, პურის ნაკლებობისა გამო, შიგა და შიგ კალოებიც ილეწება. ამ მხრივ წელს მუხრანელები წელში გაიმართებიან მით უმეტეს, რომ ვენახებიც სხვა სოფლებთან შედარებით ისე არ არის ყინვისაგან გაფუჭებული, როგორც ამას მოელოდნენ. ზოგიერთებს შარშანდელზედაც მეტის გამოსავლის

---

იჩენდნენ პირველად სასწავლებელში და დიდს იმედსაც ამყარებდენ ამათზე ზოგიერთები. მე-კი, ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალით ვუყურებდი, რადგანაც ხშირად მინახავს, რომ ის, ვინც ჰფიქრობდა: ამ უკუნეთს გავაშუქებ, დუნე ცხოვრებას ფრთას შევასხამ, სასიკეთოდ შევცვლი და გზის მაჩვენებელი ვიქნებიო, თვად შეიცვალა სოფლის ცხოვრების გავლენით, ფრთები მოიცვითა და ძველის უმსგავსო ცხოვრების მიერ დაქნილს გზაზე იწყო ჩანჩალი; სასწავლებლიდგან მოტანილი იდეალები დაჰკარგა და ბნელეთის ღმერთებს მოუყარა მუხლი. ყბედაძემ კიდევ სასწავლებელშიკე გაგვიცრუა იმედი. საშუალო სასწავლებლის სიბრძნესაც-კი ვერ დასძლია. უკანასკნელ კლასიდან გამოვიდა და სრულიად მოუმზადებელმა ცხოვრებაში შეტოპა. პირველად „იპოდრიაჩიკა“, შემდეგ იმასწავლებლა, მასუკან პოლიციის მოხელედ იყო და ბოლოს ვაჭრობაშიც სცადა ბედი, მაგრამ ხეირი არც თითონ უნახავს და არც სხვას მისგან. ყბედაძე დარწუნდა, რომ ეს მარცხი ცხოვრებაში მოუმზადებლობის ბრალიაო, და გარდასწყვიტა საკუთარის ძალღონით გაამდიდროს თავის გონების სალარო. რამდენსამე ხანს საპოლიტიკო ეკონომიას სწავლობდა (?), რამდენსამე თთვეს სამშობლო ლიტერატურას ეტრფიალა, მაგრამ ყველაზედ ბეჯითად ცეკვას სწავლობდა და ბოლოს ტიბიკონის შესწავლას მიჰყო ხელი. ეს იყო და ეს, მას აქეთ თვალით აღარ მინახავს. დიდგულაძემ უმაღლეს სასწავლებელშიაც დაამთავრა სწავლა, მაგრამ იმედის მეტს ჯერჯერობით არაფერს იძლევა, თუმცა ორმოც წელიწადს უკვე გადააბიჯა. ასე მეუბნებოდენ სხვები, მაგრამ მე მინდოდა ჩემის თვალით მენახა და ამიტომაც გადავბერტყე მტვერი ჩვეულისა და გავუდექი გზას, რომელსაც საბეჩაოში უნდა მივეყვანე, დიდგულაძე აქ მეგულებოდა ექიმად. პატრონის ხელი ყოველთვის საქონელს დაეტყობა ხოლმე. მეც შევდგი თუ არა ფეხი საბეჩაოში, გულდადებით ვათვალიერებდი ყველაფერს: მინდოდა გამეგო, თუ რამდენად მარჯვე ექიმის ხელი ტრიალებდა ამ კუთხეში.

სადაც არ მივედი, თითო ავადმყოფი ყველგან დამიხვდა. მკვიდრთა ტანისამოსი, სასმელ-საჭმელი, სახლ-კარი, ეზო-მიდამო, ყველაფერი მარწმუნებდა, რომ ჯანმრთელობაზე ზრუნვა საბეჩაოში მეტ ბარგად ყოფილა მიჩნეული. ბოგანო, ხელ მოკლე კაცი ანკი როგორ მოეწყოს, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ შეძლებული კაცებიც შეუფერებელს ცხოვრებას ეწევიან ამ სოფელში. ყველა სახლის წინ წუმპე დგას, ყველგან უსუფთაობის და საზოგადოდ ჯანის დამამხობელს ვითარებას ჰხედავ. თუმცა წელიწადში ერთხელ, დიდგულაძეს გარდა, მაზრის ექიმიც ეწვევა ხოლმე ამ სოფლებს, თუ რომელმამე შეძლებულმა კაცმა მოიავადა, ან კიდევ კაცის-კვლა მოხდა, მაგრამ შეუძლებელი უმრავლესობა ძნელად თუ გამოიყენებს რომლისამე მათგანის მოსვლას, რადგანაც ისინი თავის „მედიკამენტებით“ მიუწდომელნი არიან სოფლის უმრავლესობისათვის. მე სრულიად არ მემორჩილება კალამი იმ სურათის ასაწერად, როგორსაც საბეჩაოს სოფლები ამ მხრივ წარმოადგენენ. აგერ წვრილშვილის პატრონი გლეხი სანახევროდ დაუხურავ, ფარღალალა ქოხში სიკვდილს ებრძვის. საწყალი ქირაზე გაციებულა. უკანასკნელი ხუთი მანეთი დიდგულაძეს წაუღია გასამრჯელოში და ეხლა წამლის ფასი აღარ გააჩნია. იმედ-მიხდილი სახლობა თავზე ადგას მომაკვდავს და მდუღარებას აბნევს. „ამას ვეღარა უშველის-რა, მაგრამ ის ულმერთო, სამს მანეთს რომ დამჯერებოდა, ორით წამალს ვიყიდდი და ჩემს გულს მაინც შევაჯერებდიო“, ამბობს გამწარებული დიასახლისი. მეორეს ამ გვარსავე წვრილშვილის პატრონს გლეხს ცოლი ლოგინად ჩავარდნია და, რადგანაც ექიმის მოსაწვევად ღონე არ შესწევდა, შეუბამს ხარები, რომ ავადმყოფი ექიმის ბინაზე მიეყვანა, მაგრამ სიკვდილის პირად მიწურულს ავადმყოფს ეს მგზავრობა ვერ აუტანია და ეზოშივე დაულევია სული. სწორედ იმ დროს, როცა სანახევროდ დატიტვლებული ბავშვები სიხარულით ცას დასწევიან, რომ გასაღებული დედა დაგვიბრუნდებაო, მშობლის გაციებულს გვამს მიაყენებენ კარებზე. აქ კიდევ ერთი სახლობა რაღაც სენს შეუპყრია და რამდენისამე ავადმყოფის ჰირისუფლად ერთი ათის წლის გოგონა დაუგდია, რომელიც ხან ერთთან მივა შემწეობის მისაღებად და ხან მეორესთან. ზოგი გაიკითხავს და ზოგიკი გულ-გრილად მიუკეტავს კარებს ცხვირ-წინ ცალკე სიმშილისაგან და ცალკე სიცივისაგან ღონე მილეულს პატარა ჰირისუფალს, რაო და, გადამდები სენი არ შეუოგვიტანოს ოჯახშიო. აგერ მთელი გუნდი ბავშვებისა იზრდება სულისა და სხეულის გამათახსირებელს ვითარებაში და ერთი ჩამგონებელი არ გააჩნიათ ამათ უგუნურ მშობლებს. იქ სამი დღეა, მშობიარე დედაკაცი ებრძვის ჯოჯოხეთის სატკივრებს და სოფლის უმეცარი ბებრუხანები ათასგვარ ქაჯურ წამლებით კიდევ უფრო უძნელებენ ტანჯვას. ეს ბედკრული ვერ უძლებს ამ გვემას და მოწამებრივი სიკვდილით ძირს უთხრის ისედაც დაცემულს ოჯახს. აქ კიდევ... მაგრამ რამდენი უპატრონობისა და ბეჩაობის მსხვერპლი უნდა დავასახელო?

იმდენი სიკეთე რად გვინდა მე და შენ, მკითხველო, რამდენი ბეჩავი შრომის შვილი არც ექიმის მოწვევას ფიქრობს და არც წამლის ყიდვას სისაწყლის გამო; საკუთარის ძალღონით ებრძვის სენს იმ იმედით, რომ გამარჯვება ან მე დამრჩება, ან სიკვდილს და, თუ უკანასკნელი გაიმარჯვებს, რას დავეძებ: სიკვდილი ათასჯერ მირჩევნია ამ სიცოცხლესაო,

შუბნელი

(დასასრული იქნება)

იმედი აქვთ. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, წელს ვენახს კარგი ღვინის გამოსავალი ექმნება, თუ ამას იქით არა გაუჩნდა-რა. ვინ იცის, რთველამდის რა მოელის? ამ სამის წლის წინად მარიამობისთვის ბოლო რიცხვებში მოსულა სეტყვა და ვენახები ძრიელ დაუზარალებია.

მუხრანელებს წელს ფერშალიცა ჰყავსთ, რომელსაც წამლების პატარა აფთიაქი აქვს და რომელიც ძრიელ სვინიდისიანად ეკიდება როგორც ხალხს, ისე თავის მოვალეობას. მეტი წილი იმ ავადმყოფთა, რომელთათვისაც იმას უწამლია ამ მოკლე ხანში, ე. ი. რვა თვის განმავლობაში, ძრიელ მადლობელნი და კმაყოფილნი არიან. ზოგიერთ ღარიბებს უსასყიდლოდაც ჰწამლობს ძრიელ კარგს იზამს ხალხი, რომ ამ კაცს სასოფლო ჯამაგირს დაუნიშნავდნენ და პატარა სასოფლო აფთიაქსაც დააარსებდეს.

წელს მუხრანელებს ისიც გვახარებს, რომ მამასახლისად კარგი ახალგაზდა კაცი გვყავს. თუმცა სულ სამი თვეა, რაც თანამდებობა ჩააბარეს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაშიაც თავი იჩინა. თუ ეგრე წაიყვანა საქმე, კარგი იქნება.

საჭიროა ამ მამასახლისმა ყურადღება მიაქციოს სოფლის სისუფთავეს და გზებს, რომელიც მეტად ცუდ მდგომარეობაშია.

## დამსახურებისამებრ

(ალბერტ როდრიხისა)

ბერლინის ერთის ბანკის განყოფილებაში დიდხანს მსახურებდა ერთი მოხელე, გვარად კნოლე. არ იქმნა და არა, კნოლემ სამსახურში წინ ვერ წაიწია. ჯერ ერთი ბ-ნი კნოლე ძლიერ მორცხვი იყო და, მეორეც, საკვირველი ლამაზი წერა იცოდა. ამ უკანასკნელ მიზეზის გამო, ბ-ნი კნოლე სულ ერთთავად მწერლად იყო, რადგანაც იმაზედ კარგად ქაღალდს ვერავინ გადასწერდა.

ერთხელ უფროსმა გინცემ მიიხმო კნოლე თავის ოთახში და უბრძანა:

— ჰერ კნოლე, გთხოვთ ეს ქაღალდები გადასწოროთ და...

გინცემ შეხედა კნოლეს და სიტყვა ვეღარ დაამთავრა. კნოლე რაღაც უცნაურად შეჰყურებდა უფროსს, რაღასაც ბუტბუტებდა და ფეხზედ ძლივს იდგა.

— კნოლე, რა დაგმართვიათ?

— საუზმე... ბატონო... ბატონო... საუზმე... ჩინებული საუზმე...

— ღმერთო ჩემო, კნოლე! თქვენ მთვრალი ყოფილხართ?!.

უნდა მოგახსენოთ, რომ კნოლეს უფროსი ბ-ნი გინცე არ იყო ცუდი გულის კაცი და ადვილად აპატიებდა ხოლმე ქვეშევრდომთ ამ პატარა ცოდვას, სიმთვრალეს, მით უმეტეს, რომ თითონაც უყვარდა ხანდახან კარგის ღვინის გადაკვრა.

სწორედ ამ მიზეზის გამო, გინცე სრულიად არ გაუწყრა კნოლეს, პირიქით, თითქოს ესიამოვნა კიდეც, რომ კნოლე, ეს მუყაითი და ბეჯითი მოხელე, დღეს სამსახურის დროს მთვრალი იყო.

— კნოლე, ჩემო კარგო, რა დაგმართვნია! აქ დაბრძანდი სკამზედ.

— საუზმე... ბატონო... ბატონო...

— გინცეა ჩემი გვარი, გინცე.. სანაძლეოს ვსდებ, რომ ეხლა თქვენ თქვენი საკუთარი სახელი აღარ გახსოვთ...

— საუზმე... ბატონო... გინცე... მეიერმა დამპატიჟა. კარგი ადგილი მისცეს... შნელეს ადგილი... საცა რიგია, ეს ადგილი... შნელესი... მე... მე მეკუთვნოდა... და საუზმე... არა მიშავს-რა... მეიერმა იმიტომ დამპატიჟა... მარტო მე... ჩინებული საუზმე... წითელი ღვინო... შამპანისა...

— კარგი, კარგი! აი რას გეტყვით, კნოლე: ეხლა თქვენ შინ წადით და კარგად გამოიძინეთ.

— არა! შინ არა... ჩემი ცოლი... არა... ბატონო გინცე... შინ არა... ლუღლუღებდა კნოლე და თან ენა ებმოდა, შინ არა.. მე ვიმუშავებ... ვიმუშავებ... მომეცით საქმე... ბატონო... ბატონო...

კნოლე თან ხელებს აფათურებდა, თითქოს საქმე ჰაერში უნდა დაეჭირა.

კნოლეს უფროსი ხარხარებდა. გინცე მუყაითი და ბეჯითი კაცი იყო, მაგრამ, როცა შესაფერი შემთხვევა აღმოჩნდებოდა, უყვარდა ხუმრობა და ოხუჯობა. გინცემ უთხრა კნოლეს:

მაშ უეჭველად მუშაობა გსურთ?.. ძლიერ კარგი. ახლავე მოგცემთ საქმეს. რასაკვირველია, გაგიგონიათ რომ ისპანიის შინაგან სესხის შესახებ. ამ საქმეში ჩვენს ბანკსაცა აქვს მონაწილეობა. მაშ აი გამოიანგარიშეთ: 40 მილიონი, 7 პროცენტით... ვადა ოცი წელიწადი. წელიწადში რამდენი უნდა გაბათილდეს? დაბრძანდით. აი საწერ-კალამი, აი ქაღალდიც!

კნოლემ გაკვირვებით შეხედა გინცეს.

— გაბა... გაბათილება... გაბა... კნოლესთვის ისპანიის სესხის გაბათილების ანგარიში და გერმანიაში ჩიმბორაზოს მთის გადმოტანა ორივ ერთგვარად მოსახერხებელი საქმე იყო, ჯერ ერთი, იმიტომ რომ კნოლემ კარგა ლაზათიანად გადაჰკრა და, მეორეც ანგარიშს ჩვეული არ გახლდათ.

კნოლე მაინც ჩაუჯდა საქმეს. დაიწყო წინ ქაღალდები, მოავლო ხელი კალამს და დაიწყო ციფრების ბღაჯნვა... ამ დროს კნოლეს უფროსთან შემოვიდა ბანკის დირექტორი.

— მე თქვენთვის უნდა მეკითხნა, ბ-ნო გინცე...

დირექტორმა დაინახა კნოლე, რომელიც სტოლის ბოლოს იჯდა და რაღასაც ანგარიშობდა.

— რას აკეთებს აქ კნოლე?—იკითხა დირექტორმა.

— გაბა... გაბათილება... წაილუღლუღა კნოლემ. გინცემ არ იცოდა, რა ეთქვა, რომ არც თითონ შერხცვენილიყო დირექტორთან და არც კნოლესთვის ევნო რამ. ბოლოს გაჰბედა;

— ბ-ნი კნოლე ანგარიშობს, როგორ უნდა გაბათილდეს ისპანიის შინაგანი სესხი.

— რას ბრძანებთ! მართლა? განა ბ-ნს კნოლეს შეუძლიან ამ გვარ საქმის გაკეთება?.. გაიკვირა დირექტორმა. კნოლემ კიდევ რაღაც წაილუღლუღა და ისევ ანგარიშს მიჰყო ხელი.

— ბ-ნო გინცე, ნუ დავუშლით აქ კნოლეს, ჩემს ოთახში წამოდით, პატარა საქმე მაქვს თქვენთან. გინცე დირექტორს გაჰყვა. გზაში ერთს მოხელეს წასჩურჩულა:

— ჩემს ოთახში კნოლეა. წაიყვანეთ სადმე.

— აი რას მოგახსენებთ, ბ-ნო გინცე,—ასე დაიწყო ლაპარაკი დირექტორმა,—მე ფიქრადაც არ მომსვლია, რომ კნოლეს ასეთის ძნელის საქმის გაკეთება შეუძლიან. რამდენი ხანი მსახურობს ეგ კაცი ჩვენს ბანკში.

— თერთმეტ-თორმეტი წელი იქმნება.

— ჰმ... დიაღ... საცა რიგია, აქამდეც უნდა მიგვეცა უკეთესი ადგილი. დიაღ, ვაკანსია გაიხსნება თუ არა... გთხოვთ, ბ-ნო გინცე, კნოლე არ დაივიწყოთ.

— ბატონი ბრძანდებით.

ამ დროს ის მოხელე, რომელსაც გინცემ უბრძანა, კნოლე სადმე წაიყვანეო, სცდილობდა ეს ბრძანება აესრულებინა, მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო. ძლივს, ვაი-ვაგლახით გაიყვანა კნოლე მეორე ოთახში და ამ დროს კარებში გამოჩნდნენ დირექტორი და გინცე.

შეშინებულმა მოხელემ კნოლე ძლივს მიათრია ერთს მაღალ სტოლთან და თითონაც გვერდთ ამოუდგა.

კნოლე ისე მოიქცა, როგორც სხვა მოიქცეოდა მის ალაგას. სტოლზედ გაშლილ ქაღალდებისთვის არც-კი შეუხედნია და სტოლზედ ნიდაყვებით დაეყრდნო.

დირექტორმა გამოიარა. ნახა კნოლე და ძლიერ გაუკვირდა, აქ რაღას აკეთებსო. დახედა კნოლეს წინ გადაშლილ ქაღალდებს და განცვიფრდა.

— როგორ?! ბ-ნო, კნოლე! ისპანიის კონტრაქტს თქვენა სთარგმნით?!

— დიაღ... დიაღ... მე... ბატონო... გაბა... გაბათილება...

დირექტორი უკვე შორს იყო. დაეწია თავის ოთახში მიმავალ გინცეს და უთხრა:

— ბ-ნო გინცე, მე ვნახე, რომ ბ-ნი კნოლე ჰსთარგმნის ისპანიის კონტრაქტს. ეს კონტრაქტი ძლიერ ძნელი გადმოსათარგმნია. კნოლე ძლიერ ნიჭიერი კაცი და საუკეთესო მოხელე უნდა იყოს. რა აქვს ჯამაგირი?

გინცემ მოახსენა.

ძლიერ ცოტა ჯამაგირი ჰქონია, ძლიერ ცოტა. როგორ იქმნება? ნიჭიერი კაცები ღირსეულად უნდა დავაფასოთ და დავაჯილდოვოთ. მართლა!.. ბანკის უფროსის ბუჰგალტერის ადგილი ჯერ ხომ არავისთვის მიგვიცია!... დღესვე მოველაპარაკები დირექტორებსა და ბანკის მმართველს, რომ ეს ადგილი კნოლეს მისცენ. დიაღ, დღესვე...

წავიდა თუ არა დირექტორი, გინცე მივარდა კნოლეს, რომელსაც ეხლა ისპანიის კონტრაქტზე თავი დაედო და არხეინად ხვრინავდა.

— კნოლე, თუ ღმერთი გწამთ, ამ წუთასვე შინ წადით და გამოიძინეთ, თორემ, თუ ცოტა ხანს კიდევ დარჩით, მგონია, ბანკის დირექტორად დაგაყენონ.

ა. ნ.

## რუსეთი

გაზეთის Петерб. Вѣд. მეფელეტონე სცდილობს გამოარკვიოს, რა რიგად შეცვლილა მკითხველის გემოვნება რუსეთში, რა გვარ სალიტერატურო თხზულებას უფრო ეტანება ეხლა მკითხველი. ამის საბუთად მოჰყავს ანგარიში მოსკოვის სამკითხველოებისა.

მოსკოველი თაყვანსა სცემს გრაფ ლევ ტოლსტოის ნიჭსა, მაგრამ დაფასება ეგრე რიგად არ შეუძლიან და ვერც დაუმყარებია გული ერთგვარ მწერლობაზედ. მკითხველი თანდათან უფრო ადვილ საკითხავ თხზულებას ეტანება. ვს. სოლოვიოვს უფრო კითხულობს, ვიდრე ტურგენევს, პუშკინსა და ლერმონტოვს. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ამჯობინებენ გონჩაროვსა და თითქმის გოგოლსაც-კი. ტურგენევს თანდათან აკლდება მკითხველი, აკლდება აგრეთვე ლერმონტოვს, გონჩაროვსა, ოსტროვსკის, გრიგოროვიჩს და შჩედრინს. შჩედრინს ხომ ზაგოსკინი სძალავს. საყურადღებოა, რომ, როგორც გრაფ ტოლსტოის ემატება მკითხველი, ისე ნემიროვიჩ-დანჩენკოს, სალიასს, კარაზინსა და მიასნიცკის. ტურგენიევის ნაწარმოებს ძნელად შეხვდებით სადმე, მაშინ როდესაც მიასნიცკის ნაწერს და ცრუ ისტორიულ გასართობ რომანებს ყველა ოჯახში საპატიო ადგილი დაუჭერიათ.

ვერაფერი სანუგეშო ამბავია რუსეთის განათლებულ საზოგადოებისათვის.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** გაზეთ „Figaro-ში დაბეჭდილია ზოგიერთი ცნობები შესახებ სიამისა. ამ ცნობებიდგან სჩანს, რომ სიამელებს ჯერ ისევ ლიუდოვიკ XIV დროს სურდათ საფრანგეთთან დაახლოვება და ამისთვის გაჰგზავნეს საფრანგეთში დესპანები. დესპანები მოვიდნენ სიამიდგან აგრეთვე მეფე ნაპოლეონ მესამესთან. სიამის აწინდელ მეფის მამა დიდი პატივისმცემელი იყო საფრანგეთისა. განსვენებული საკმაოდ განათლებული კაცი იყო: იცოდა წერა, რასაკვირველია, არც თუ ზედ მიწევნით, ფრანგული, ინგლისური და ლათინურიც-კი. მეფე ძლიერა სცდილობდა ევროპის განათლება გადაეტანა სიამში. ერთსა და იმავე დროს პატივსა სცემდა თეთრ სპილოებს, რომლებიც სიამელებს წმინდანებად მიაჩნიათ და მადონნას ხატსაც, რომელიც აჩუქა ერთმა მისიონერმა. სიკვდილის ჟამს თავის შვილს დარიგება მისცა: გიყვარდეს საფრანგეთი, მაგრამ რაც შეიძლება ერიდე-კი და ნუ დაუახლოვდებიო.

ამერიკის გაზეთ „Sun“-ში დაბეჭდილია საუბარი სიამის მეფის შვილისა ზემოხსენებულ გაზეთის კორესპონდენტთან. პრინცს სხვათა შორის უთქვამს: საფრანგეთი უსამართლოდ გვექცევა. ის ადგილები რომელზედაც ეხლა დავა ასტყდა, აგერ მთელი საუკუნეა, რაც სიამს ეკუთვნის. ფრანგებს ამ ადგილებზედ არავითარი უფლება არა აქვთ. საფრანგეთი სჩივის, სიამის მთავრობამ არ დაგვაკმაყოფილაო, მაგრამ რა უფლება აქვს ამ დაკმაყოფილებისა. ეს უფლება მაშინ ექმნებოდა საფრანგეთს, სიამის მთავრობა თავის ქვეყანას რომ კარგად არ უვლიდეს, მაგრამ ეს არ ითქმის ჩვენზედ. ჩვენ გავიყვანეთ რკინის გზები და ვცდილობთ სიამში ცივილიზაცია გადმოვიტანოთ. ჩვენ მმართველობის ქვეშ ერი დამშვიდდა, თავი დაანება ქურდობასა და ავაზაკობას. ამ მხრივ კოლონიებში ჩვენი პოლიტიკა სჯობია საფრანგეთის პოლიტიკას. დაე საფრანგეთმა გადახედოს ანამს. სიამში ჩვენ მოვსპეთ ავაზაკობა და ყოველ გვარი უწესოება. ანამში საფრანგეთს ეს ვერ მოუხერხებია. ერთის სიტყვით, საფრანგეთი მხოლოდ იმიტომ გვართმევს ადგილებს, რომ ჩვენზედ მძლავრია. მხოლოდ ეს არის ერთად ერთი მიზეზი. რაც შეეხება ინგლისს, რასაკვირველია, იზრუნავს თავის ინტერესებისთვის, ხოლო ძლიერ საეჭვო-კია, რომ ჩვენი გულისთვის საფრანგეთს ომი აუტეხოს.

## გასართობი

ერთს პოლიცმეისტერს შემდეგი ბრძანება გაუცია:

შენიშნულია, რომ ლანძღვა-გინება, სამწუხაროდ, ჩვეულებად გადაქცეულა; მანდილოსანს, გასათხოვარ ქალსა და ბავშვს ისე ფეხი ვერ გადაუდგამს ქუჩაში, ისე ვერსად წავა, რომ იმათი ყურთა სმენა მოუხამული არ იყოს სამარცხვინო სიტყვებით, ლანძღვა-გინებით.

ამისათვის პოლიცმეისტერი უბრძანებს ბოქაულებს პასუხის გზაში მიეცით არა თუ მხოლოდ ისინი, ვინც ჩხუბობენ, ჭყვირიან ანუ სხვა უწესოებას სჩადიან ხალხის სასიარულო ადგილებში, არამედ ისინიც, ვინც იგინებოდეს და ბილწ სიტყვებს ამბობდეს, თუნდ ეს სიტყვები არავისაც არ შეეხებოდესო.

პოლიცმეისტერი სთხოვს კერძო კაცთაც, რომელნიც ამ განკარგულებას თანაუგრძნობენ, დაეხმარონ პოლიციის მოხელეთ და, როცა-კი ურცხვ სიტყვას მოჰკრან ყური ქუჩაში, თუ სხვა ადგილს, მაშინადვე პოლიციას აცნობონ, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგება გამოძიებას და დამნაშავეს პასუხის გზაში მისცემს.

კარგი იქმნებოდა პატივცემულ ზნეობის დამცველ პოლიცმეისტერს თავის ბრძანების აღსასრულებლად სევასტოპოლის პოლიცმეისტერი დაებარებინა თავის მოხელეებითურთ, რომლის საქმე Новор. Телеграф. სიტყვით, ამ დღეებში წარედგინება განსახილველად ოდესის სამოსამართლო პალატას და რომელსაც ჰბრალდება, რომ ერთის ლუდის მექარხნე პოლიციაში შეაპატიჟა და იმდენი ურტყა, რომ ნეკნები ჩაუმტვრია.

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ, დაბეჭდოთ შემდეგი ანგარიში იმ წარმოდგენის შესახებ, რომელიც გამართულ იქმნა აქ, ბათუმში, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ ქართულის სცენის მოყვარულთა-მიერ 30 იანვარს მდგომარე წლისას და რომელმაც, წარმოდგენის გამგეთაგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო, აქამდის დაიგვიანა.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სულ ბილეთები იყო . . . | 754 | 30 |
| აქედამ გაიყიდა . . . . . | 504 | 25 |
| დარჩა და ჩაბარდა პოლიციას გაუყიდველი . . . . . | 250 | 5 |
| დაიხარჯა: | | |
| არტისტს ვ. აბაშიძეს ფეხად . . . . . . . | 100 | „ |
| ლოჟა . . . . . . . . | 5 | 50 |

თეატრის ქირა . . . . 100— „
მარკების გადასახადი . . . 34—24
აფიშების, მუსიკისა და სხვა
ხარჯი . . . . . . 45—93

სულ... 285—67
დარჩა წმინდა შემოსავალი 218—58
ბილეთების ფასს გარდა შემოსწირა ბ. X. . . . 1—90

სულ ნაღდი შემოსავალი . . . 220—48

ეს ფული ჩაბარდა იმ კამიტეტს, რომელიც შემდგარია აქ, ბათუმში, ქართულის სკოლისათვის შენობის ასაგებად. წარმოდგენის მოთავენი რაცხვენ სასიამოვნო მოვალეობად, განუცხადონ უგულითადესი მადლობა ქ-ნთ სოლოროვისას, ანჯაფარიძისას, ბ-ნთ ხარაზოვს, გვამიჩავას და საერთოდ ბათუმის ქართველ საზოგადოებას, რომელიც ყოველთვის ასე გულ-მხურვალედ ეკიდება სამადლო და საზოგადო საქმეს.

გრ. ვოლსკი

# დეპეშა

19 ივლისი

**როსტოვი.** (დონისა) იწვის ანტრაციტის მადნები კოშკინისა; ყველა შენობებსა და მაშინებს ცეცხლი წაეკიდა. 600 მუშა მშვიდობიანად ამოვიდა მადნიდგან; კაცთაგანი არავინ დაშავებულა. ზარალი დიდია. ანტრაციტის ფასმა აიწია.

**ვენა.** ავსტრი-ვენგრიის გარეშე საქმეთა სამინისტროს უკვე მოუვიდა პასუხი რუსეთის მთავრობისაგან. სადამოჟნო კონფერენცია ამ კვირას დაიწყობა.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭომ შეიწყნარა მოხსენება სიამისა საფრანგეთის ულტიმატუმის მიღების შესახებ, თუმცა ეს მოხსენება დაგვიანებულია. საბჭომ გადასწყვიტა, ყოველ გვარი ღონისძიება იხმაროს, რომ სიამმა შეასრულოს თავისი პირობები.

**ლონდონი.** ბანგკოკიდგან იუწყებიან, რომ ფრანგებმა კოხსიშანგის კუნძული დაიპყრეს; შაბათს გამოაცხადეს, სამიტისა და შანტობუნოს ნაპირებს ზარბაზნებს ვესვრითო.

ქაშმირში საშინელი წყალდიდობაა, წყალმა ნახევარი სხინაგარი წალეკა.

ბუენოს აირესისა და როზარიოს პროვინციებში რევოლიუციაა, რადიკალების მეთაურობით. აჯანყება საერთოა. რადიკალთა დასის მეთაურმა დოქტორმა ალესამ გამოსცა მანიფესტი და აცხადებს, დროა დავუბრუნოთ ერს უფლებანი და სრული თავისუფლებაო.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ივლისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,66 | 7,69 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 152¾ | 153¾ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — , | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 241¼ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | 225¼ | — „ | — „ |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 194¼ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% . . . . . . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — „ | — „ | — „ |
| 5% . . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში რ ა ო ბ ი ვით ღამის 2 საათზე, შორის. გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

# განცხადებანი


## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევიე 2 საათამდე. (150—73)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| თამარ ბატონიშვილი, რომანი ვრ. რჩეულოვისა. | „ | 50 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა. . . . . . . | „ | 20 |
| რამდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . | „ | 50 |
| ჰამლეტი, მისივე . . . | „ | 30 |
| მაკბეტი, მისივე . . . | „ | 40 |
| რიჩარდ მესამე, მისივე. . | „ | 40 |
| მეფე ლირი, თარგმანი ი. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლისა. . . . . | „ | 60 |
| ლექსები ალ. ჭავჭავაძისა. | „ | 30 |
| პატარა კახი აკ. წერეთლისა. . . . . . | „ | 50 |
| სამგვარი სიყვარული, მისივე . . . . . . | „ | 30 |
| სალამური, მისივე . . . | „ | 15 |
| ძირითადი უკულმართობა, ი. გოგებაშვილისა . . | „ | 20 |

## გამოსადეგი ცნობანი
## პირველი კერძო სამკურნალო
### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. ვ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7½—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

## ალექსი თუთაევის
### ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ
**ტფილისში:**

ვიღებ სახლების აშენებას, აგრედვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრეთვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20%-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—29) ალ. თუთაევი

გამოვიდ და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში
**ახალი წიგნი**
ვალერიან გუნიასი

## დრამები და კომედიები

წიგნი პირველი

1) **და-ძმა**, დრამა 5 მოქ.
2) **ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან**, კომ. 1 მოქ.
3) **მონადირე**, ვოდ. 1 მოქ.
4) **რაც არ მერგება—არ შემერგება**, კომ. 1 მოქ.
5) **არც აქეთ, არც იქეთ!**. ვოდ. 1 მოქ.

**ფასი 50 კაპ.**